ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის საიუბილეო
თარიღთან დაკავშირებით ესეების კონკურსი თემაზე
„ივ.ჯავახიშვილი - პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბავშვო უნივერსიტეტი საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებისთვის აცხადებს ესეების კონკურსს თემაზე: „ივ.ჯავახიშვილი - პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი“, რომელიც ეძღვნება ივ.ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის იუბილეს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა (VII-XII კლასების მოსწავლები), **10 თებერვლის** ჩათვლით, ელ. მისამართზე junior@tsu.ge უნდა გამოგზავნოს განცხადება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს: მონაწილის სახელი, გვარი, სკოლა, კლასი, საცხოვრებელი ადგილის დასახელება, თემის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, თანამდებობა. ასევე, მონაწილის საკონტატქო ინფორმაცია: ტელეფონი და ელექტრონული მისამართი.

15 თებერვლიდან 20 მარტამდე, მონაწილეთა დასახმარებლად ჩატარდება სამი შეხვედრა (მონაწილეთათვის არასავალდებულო) - ორი ლექცია და ერთი კონსულტაცია, რომლის გრაფიკი მონაწილეებს ელექტრონული შეტყობინებით ეცნობება.

ესეს ელ.ვარიანტის გამოგზავნის ვადა - **25 მარტი, 24.00 სთ.** ესეებს შეაფასებს უნივერსიტეტის პროფესორთაგან შემდგარი ჟიური.

ნაშრომი შეფასდება 10 ქულიანი სისტემით. შეფასების კრიტერიუმებია:

I. ნაშრომის აკადემიური სტილი - მაქსიმალური ქულა 2
II. თემის აქტუალობა, შესაბამისობა - მაქსიმალური ქულა 4
III. თემის ანალიზი - მაქსიმალური ქულა 4

შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართება **9 აპრილს, შაბათს,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, უწყვეტი განათლების ცენტრის შენობაში 13:00 სთ-ზე.

კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოდგინონ ესე, არა უმეტეს 300 სიტყვისა, ელექტრონულ ფორმატში, შემდეგი პირობების დაცვით:

- ნაშრომი აკრეფილი უნდა იყოს **word - ის ფაილში, A4 ფორმატში**
- ნაშრომი გამოიგზავნოს **PDF ფორმატში**
- შრიფტი - **sylfaen**
- სათაურის შრიფტის ზომა **12**
- სათაურის ქვეშ, ცალკე ხაზზე, უნდა მიეთითოს კონკურსის მონაწილის მიერ გამოგონილი ორიგინალური მაიდენტიფიცირებელი ფსევდონიმი, მაგ.: „წითელქუდა 7485“, „ბეტმენი 317“ და ა.შ. - ნებისმიერი სიტყვა და ციფრები
- ტექსტის შრიფტის ზომა **11**

<u>შენიშვნა:</u>

<u>ესეს ტექსტს თქვენი სახელი და გვარი, სკოლა, კლასი არ დაურთოთ, მხოლოდ ფსევდონიმი, გამოგზავნეთ სპეციალურად ამ კონკურსისათვის შექმნილი ელ.მისამართიდან - შედეგად ავტორი ანონიმური დარჩება.</u>

<u>ამ პირობების დაცვა უზრუნველყოფს ჟიურის მიუკერძოებელ შეფასებას.</u>

კონკურსში მონაწილეებს და ხელმძღვანელებს გადაეცემათ მონაწილის სერტიფიკატი, ხოლო სამ გამარჯვებულსა და მათ ხელმძღვანელებს გადაეცემათ გამარჯვებულის სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები. გამარჯვებული ნაშრომები ელექტრონულად გამოქვეყნდება საბავშვო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე junior.tsu.edu.ge. დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით junior@tsu.ge ან Facebook.com/თსუ საბავშვო უნივერსიტეტი.